№ 120, ივნისს 8, შაბათი. 1866—1885 ივნისს 8, შაბათი. № 120.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. - 4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილ [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.**

## შინაური ქრონიკა

სენაკის მაზრიდამ გვწერენ: «მაისის 28 მე დავესწარ ერთს შემაძრწუნებელ გარემოებას: სოფ. წაჩხურს ზემოდ აღნიშნულ რიცხვში სცოდნიათ ჯარიანობა, რომელზედაც ხალხი ბლომად შეიკრიბა და დაიწყეს მშვენიერი ცეკვა-მღერა და შემდგომ ცხენებით თამაში გამართეს. სხვათა შორის ამ შეკრებულებაში მოსულიყო ერთი იქაური აზნაური იულონ ნაჭყებია, რომელსაც ჩხუბი აუტეხა ხალხმა სრულიად ტყუილ-უბრალოდ და უწყალოდ სცემა ჯოხებით და ქვებით. ბევრი ცემით გამწარებულმა და მოთმინებიდამ გამოსულმა ნაჭყებიამ რევოლვერი ამოიღო ექვსი ტყვიით გატენილი და დასცალა. ოთხი ტყვია ასცდა ხალხს და ორით კი ორი კაცი მძიმედ დასჭრა. ბოლოს, როცა ჩხუბი გათავდა, ვიკითხე მიზეზი ჩხუბისა და აღმოჩნდა, რომ ჩხუბის მოთავე ყოფილა ადგილობრივი მ. თავის ამალით, რომელთ მოვალეობა ჩხუბის ატეხა კი არა, დამშვიდება იყო».

განჯის სტანციიდამ გვწერენ, რომ ამ სტანციაზე ფოსტის განყოფილების უქონლობა ძალიან აწუხებს მოსამსახურეებს, რომელთაც ერთი წერილიც არ შეუძლიანთ თავის დროზე მიიღონ. საკვირველი ის არისო, რომ სადაც მოსამსახურე პირები ცოტანი არიან, როგორც ძეგამში, შელახში და უჯარაში, იქ ფოსტის განყოფილებებია დაწესებული და აქ კი არაო, სადაც ასობით და ორასობით არიან მოსამსახურენიო; მართალია ფოსტის მაგივრობას სტანციის უფროსის კანტორა ასრულებს, სადაც ყოველი მატარებლის მოსვლის დროს ფოსტის მოხელე სტანციის უფროსს გადასცემს წერილებს და გაზეთებსაო, მაგრამ ამის უყურადღებობის გამო ყოველ-დღე რომ მოგდიოდეს გაზეთი, კვირაში იქნება ერთი ნომერი მიიღო ისიც თუ მოუსწარი როცა ხელში უჭირავს, თორემ წერილების მიღებას ვინ ელირსებაო.

თუ ფოსტის განყოფილებას ვერ დააარსებენ, სტანციის მოსამსახურეები მაინც დაავალონ, რომ გადასცენ ხოლმე წერილები და გაზეთები თავიანთ პატრონებს.

ამ დღეებში ლიაკისა და უჯარის სტანციის შუა მატარებელს გზაზე გადასვლის დროს გაუჭყლეტია გზის მუშა თათარი. საცოდავი მატარებელს ლუკმა-ლუკმა უქცევია.

მუზეუმის დირექტორის-ბ-ნი რადეს თაოსნობით აპირობან აშენონ ქალაქში ახალი შენობა, რომელსაც ერქმევა სახელად ტაძარი დიდებისა. ამ შენობაში იქნებიან გამოკიდულნი სურათები კავკასიის ომიანობის შესახებ. თვით შენობას დაახლოვებით 40 საჟ. სიგძე ექნება და 4 საჟ. სიგანე. სურათების დახატვა იჯარით მიუციათ მიუნხენის მხატვრის რიბოსთვის 36 ათას მანათად და ვალდებულია ორი წლის განმავლობაში დახატოს 15 სურათი, რომელთაც სიდიდე ხუთიდამ ერთ არშინამდის ექნებათ.

წრეულს 46 კადეტს შეუსრულებია კურსი. ამათ რიცხვში 25 რუსია, 12 ქართველი, 8 სომეხი და 1 თათარი. მათ შორის 13 მოწაფე, რომელთაც პირველი ხარისხის მოწაფეებად დაიჭირეს ეგზამენი, გაიგზავნებიან სპეციალურს არტილიერიულს და ინჟინერიულს სასწავლებლებში და დანარჩენები კი სატახტო ქალაქებში სამხედრო სასწავლებლებში.

დღიურ სალაპარაკო გმირად ჩვენს კავკასიაში ისევ-და-ისევ გამოჩენილი ყაჩაღი ქერიმ-ისკანდარ-რამაზან ოღლია. ისე დასეირნობს სოფლებში თავის რაზმით, თითქოს გენერალ-გუბერნატორიაო და ხმის გამცემი არავინა ჰყავს. ასე გასინჯეთ ალალარებს სადილებსაც კი ამართვინებს და თავის რაზმით ქეიფობს. ამას წინად, როგორც «ნორ-დარს» სწერენ, პოლიციას და ყაზახებს მოსვლიათ შეტაკება ქერიმთან, მაგრამ ოთხი საათის თოფის სროლის შემდეგ ქერიმი ისევ უვნებლად დამალული.

«ოდესის ფურცელში» სწერია, რომ ქერჩის ახლო ნავთი გამოჩენილა 140 საჟ. სიღრმეზედ. დღე და ღამ 1,200 ვედრა ნავთს იღებენო.

## „დროების“ კორესპონდენცია

თქვენი გაზეთის მე-107 ნომრის შინაურ ქრონიკაში ამოვიკითხე, რომ

## სვანეთის სამთავროს გაუქმება

(შემდეგი *)

წინა წერილში ჩვენ ერთი ახალი პირი მოვიხსენიეთ, რომელიც საჭიროა მკითხველს გავაცნოთ. ეს ახალი პირი ივანე ალექსის-ძე ბარტოლომეი არის, რომელიც ბარიათინსკის დაახლოვებული მეგობარი იყო. იგი ძალიან მდიდარი იყო და ბევრი უცხო ენა იცოდა, განსაკუთრებით უფრო კარგად ფრანცუზული. იგი სწორედ რომ ქუდ-ბედიანი კაცი იყო, მაგრამ ერთი ნაკლულევანება ჰქონდა, რომელიც მის ქუდ-ბედიანობას ახდენდა. დაბალის ტანისა იყო, ცუდი სახისა და თვალზედაც ბისტი ჰქონდა გადაკრული, ეს მის მნახველზედ ცუდს შთაბეჭდილებას ახდენდა და განსაკუთრებით უფრო ქალზედ. ერთხელ ერთმა ქალმა, რომელიც მას ძალიან უყვარდა, უარი უთხრა შერთვაზედ და ამან ისეთი გავლენა იქონია მაზედ, რომ ჩაიკეტა თავის სახლის კარები და სულით და გულით შეუდგა აღმოსავლეთის ენების შესწავლას. შემდეგ დაუწყო მოგროვება სპარსულს ძველს მანათებს, განსაკუთრებით უფრო სასანიდების გვარეულობისას, რითაც მან ნუმიზმატობის სახელი შეიძინა. ვორონცოვის მთავარ-მმართებლობიდამ იწყობა მისი სამსახური კავკასიაში. როდესაც ბარიათინსკი დაინიშნა მთავარ-მმართებლად, ბარტოლომეიში გაიღვიძა სამსახურში წინ წასვლის მადამ და ვინ იცის რა ნაირად არ იდრიკებოდა უფროსის წინ, რომ სამსახურში წინ წასულიყო. ისიც და მრავალნი სხვანიც ბარიათინსკისაგან გამოელოდენ მოწყალებას და მის სახლის კარებს არ შორდებოდენ. ამათ რიცხვში მ. ტ. ლორის-მელიქოვიც იყო.

ბარიათინსკიმ ბარტოლომეის დადიშკელიანზედ მზრუნველობა ჩააბარა. მაგრამ განა ასეთი კაცი უნდა ჰყოლოდა დადიშკელიანს მზრუნველად? დადიშკელიანი ოც-და-ათის წლის ბრგე კაცი იყო, მაღალი მოხდენილის ტანისა და დიდი ღონის პატრონი, ხასიათით ისეთი მშვიდი იყო, რომ იშვიათად თუ კაცი მას მოთმინებიდამ გამოიყვანდა; მაგრამ როცა მოთმინებიდამ გამოვიდოდა, მაშინ კი ძალიან საშიშარი იყო. იგი მომეტებულს ნაწილს ქუთაისის ჩინოვნიკებისას კარგად იცნობდა და მათ შორის მეც. რუსულად არა ლაპარაკობდა, მაგრამ კარგად კი ესმოდა. რაკი ქართული ვიცოდი მე და ის ერთი-ერთმანეთს ჩვენ ჩვენს ენაზედ ველაპარაკებოდით ხოლმე და კიდეც გვესმოდა ერთმანეთის აზრი. იგი შვილების მოყვარული კაცი იყო და არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ჩემს შვილებს კარგი განათლება უნდა მივაღებინოვო; იგი დიდს პატივს სცემდა პატიოსანს კაცს და მზად იყო ყოველივე მისი დარიგება გაეგონა. ეჭვი არ არის, რომ მისი მზრუნველი ბარტოლომეი პატიოსანი და პირ-და-პირი კაცი რომ ყოფილიყო, მაზედ დიდი გავლენა ექნებოდა და მისი სამთავროს გაუქმების საქმე სისხლ დაუღვრელად გათავდებოდა. მაგრამ სამწუხაროდ ბარტოლომეი ასეთი კაცი არ იყო და დადიშკელიანი მას არამც თუ გულგრილად უყურებდა, არამედ კიდეც ეჯავრებოდა. ამის შემდეგ რა საკვირველია მათ ერთმანეთი ეჯავრებოდათ და რა ვიგონებ წარსულს დროს, მიკვირს დადიშკელიანმა როგორ მოითმინა ამისთანა ცუდი ხასიათის კაცის მზრუნველობა. მაგალითად, მან განიზრახა დადიშკელიანთან ერთად ერთს სასტუმროში დამდგარიყო. ზევით კონსტანტინე იდგა და ქვევით ის; სასტუმროს შენობა ცუდი იყო, ასე რომ ზემო სართულში რაც ხდებოდა ქვემო სართულში სულ ერთიანად ისმოდა; ბარტლომეის თარჯიმანი (მან ქართული არ იცოდა) ძალიან ცუდი კაცი იყო; მან იგი თავის ჯაშუშად გაიხადა და ყოველნაირს ჭორებს აზიდვინებდა. როდესაც დანახარჯზედ ჩამოვარდა ლაპარაკი ბარტლომეიმ გროშებზედ ყალმაყალი ასტეხა, თითქოს ხაზინას ძალიან უფრთხილდებოდაო და ამან უფრო გააცხოველა მისდამი დადიშკელიანის სიძულვილი.

ბაგარინი ხან-და-ხან ჰპატიჟობდა სადილად დადიშკელიანს და ბარტლომეის, რომელიც ფრანცუზულს ენაზედ დადიშკელიანის შესახებ რაღაც დასაცინს ანდაზებს იტყოდა ხოლმე.

ბოლოს უსლარიც დაბრუნდა, თან ბევრი მასალა მოიტანა და მის გარკვევას ერთგულად შეუდგა. დადიშკელიანთან შეხვედრას იგი ძალიან ერიდებოდა, რადგან გრძნობდა, რომ მასთან შეხვედრა კარგს არაფერს მოასწავებდა. ერთხელ მე იგინი ერ-

*) იხილე „დროება“ № 116.

სოფ. ბახვიდამ რედაქციას მოსვლია წერილი, რომლითაც არწმუნებს მას, ვითომც მ. ლ. ქ. ამ სოფლის სკოლის და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის წინააღმდეგ მოქმედებდეს და ცდილობდეს ამ დაწესებულებათ ავნოს რამე; ვითომც მ. ლ. ქ. ხმებსაც ავრცელებდეს ხალხში, რომ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ამ სოფლის სკოლის შესახებ ქება თვითონ ამავე სკოლის მასწავლებლისაგან მისვლოდეს რედაქციასო. აცხადებს რა ამას რედაქცია არწმუნებს მ. ლ. ქ., რომ მისთვის (რედაქციისათვის) მასწავლებელს ერთი სტრიქონიც არ გაუგზავნია თავის სკოლის შესახებო.

რადგან მ. ლ. ქ. მე ვარ და, რასაკვირველია, ეს წერილიც მე მეხება, ამიტომ გთხოვ, ბატონო რედაქტორო, — ამ ჩემს მცირე შენიშვნასაც ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ახლანდელს დროში ჩვენში ყოველ კაცს შეგნებული აქვს, თუ რა სასარგებლოა სკოლა; ამისათვის, შეძლებისადაგვარად თუ ყველა არ ზრუნავს მის კეთილ დღეობისათვის, ხელს მაინც არა ვინ უშლის. გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობაც არ არის უსარგებლო და ჩვენ სოფელში არც იმის წინააღმდეგი მოიპოვება ვინმე. მხოლოდ მე გამოვყევარ წერილის ავტორს მტრად ორთავე დაწესებულებათა. რისთვის? შეიძლება ავტორს პირადი უკმაყოფილება ჰქონდეს ჩემთან; მაგრამ ეს უკმაყოფილება მისგან კი არ წარმომდგარა, რომ ის სკოლის და ამხანაგობის მოკეთეა და მე კი ვითომ მტერი; არა, ვარწმუნებ ავტორს, სკოლის და ამხანაგობის მტერი არც მე ვარ და არც სხვა ვინმე მოიძებნება ჩვენს სოფელში; მხოლოდ, რადგან თვითონ ის (ავტორი) სკოლის და გამ. შემ. ამხანაგობის მოამაგეა, შეუძლია ყველას, ვინც კი მასთან პირადად უკმაყოფილოა, ამ დაწესებულებათა წინააღმდეგი უწოდოს: ეს ერთად ერთი საბუთი აქვს მას, როდესაც ამბობს: «მ. ლ. ქ. აქაური (ბახვის) სკოლის და გამ. შემნახ. ამხანაგობის წინააღმდეგ მოქმედობს და ცდილობს ამ დაწესებულებათ ავნოს რამეო», მაგრამ ამ ნაირ საბუთებს რომ გაჰყვეს კაცი, შორს წავა: სკოლის კი არა, შეიძლება ღვთის წინააღმდეგადაც გამომიყვანონ; ამისათვის ვითხოვ ფაქტებით დამიმტკიცონ თუ რაში მდგომარეობს ჩემი წინააღმდეგობა, თუ არა და ნება მომეცით ვიფიქრო, რომ ჩემს შესახებ საჩივარი ცილის წამებაა, რადგან ნებსით არა ვითარი წინააღმდეგობა არ ჩამიდენია და თუ უნებლიედ ჩავიდინე, ამას ვერ მიმტკიცებენ.

რაც შეეხება რედაქციისაგან რწმუნებას, რომ მისთვის ბახვის სკოლის მასწავლებელს ერთი სტრიქონიც არ გაუგზავნია თავის სკოლის შესახებ, მეტი შრომაა, — რადგან უიმისოდაც მჯერა, — მასწავლებელიც რომ გაბრიყვებულიყო და თავის ქება თავისივე სახელით გამოეგზავნა, პატივცემული რედაქცია ამ ნაირ წერილს ადგილს არ მისცემდა თავის გაზეთში. არც მე ვარ იმდენად ჭკუა მოკლე, რომ ამ ნაირი აზრი მომივიდეს თავში და ის ხალხში გავავრცელო.

მღვდელი ლავრენტი ქიქოძე

მაისის 29-ს.

# მინდვრის ოსები

(კავკავის მაზრა)

ამ ჩვენს მინდვრის ოსებს ბევრ კარგთან, ბევრი ცუდი ჩვეულებაცა სჭირთ; მაგრამ ძველად, მამა პაპიდგანვე, ოსებსა აქვთ ჩვეულებად ურვათი, რომელსაც ქალის პატრონს სასიძო აძლევს ხოლმე. თუმცა ძველადაც სცოდნიათ ურვათი — ათი თუმნიდამ თხუთმეტ-თუმნამდე, მაგრამ ესევე ურვათი დღეს ოცდა-ათ, ორმოცს და ხანდისხან სამოც თუმნამდეაც ადის. რასაკვირველია, ზოგ-ზოგ მდიდარ გლეხს იქნება შეეძლოს ამოდენა ურვათის მიცემა, ზოგი საქონლით და ზოგი ფულით, მაგრამ მომეტებული ნაწილი ისეთი საწყალნი არიან, რომ დღიური ლუკმის ჭამა ვერ შეუძლიათ. ამის მიზეზით ხდება მინდვრის ოსებში ხშირად ქურდობა, ავაზაკობა, კაცის კვლა და ხშირად ნათესაობაში სისხლის ამღვრევაც! სჩივის საცოდავი ვაჟკაცი; რავქნა, ცოლი მინდა შევირთო, მაგრამ ეს ურვათი რით მივსცე... მეტი გზა არ არის უნდა წავიდეს საქურდლად, ან უნდა მოჰკლას ვინმე და ან თითონ მოჰკლან... აგრეთვე საწყალ გასათხოვარ ქალებსაც ხშირად ნახამთ ოცდა-თხუთმეტს და ორმოც წლამდე მიხწეულებს, რა ჰქნას ქალმაც?... უნდა გათხოვება, მაგრამ ისევ ის ურვათი ფეხის-ბორკილადა აქვს გაყრილი. მეტი გზა არ არის, — ან უნდა მოეტაცვინოს ვისმე, (როგორც შარშან ამ ჩვენს სოფელში ერთმა მოიტაცა ქალი და ამის მიზეზით კაცი მოჰკლეს; დღესაც ერთმანეთის სისხლსა სმენ) ან კიდევ, რაც განაც დაახლოვებულია, თავის ნათესავთან მოახდინოს სისხლის ამღვრევა. აი ერთი ამის მაგალითი:

წარსულს მარტის 15-ს მოვდიოდი კავკავში წასვლა, გავიარე [illegible]ნი ყავაში, რომელიც [illegible] ვერსზეა; შევხედე შუა სოფელს ბლომად ხალხი იდგა შექუჩებული. ერთსა ვკითხე, რა ამბავია მეთქი? რაღა რა ამბავიაო, მიპასუხა, ერთმა ურჯულო ჭაღარა შერთულმა კაცმა თავისი ძმის-წული გასათხოვარი ქალი დააორსულაო. ქალს აღარ მიხედეს და ლოგინობაზედ მოკვდაო, აღარც გარედ გამოდის და არც არავის თავისთან უშვებსო; ეხლა მისმა გვარეულობამ ერთი პირი ჰქნეს, უნდა მოვკლათ ის კაცი, მაგრამ ადგილობრივი პრისტავი გამომძიებლითურთ მალე მოეშველა და აღელვებული ხალხი ჯერ-ხანობით დაამშვიდესო. ეხლა საქმე სასამართლოში წარმოებსო, ეს უბედურება სულ ურვათისაგან მოგვდისო, შემომჩივლა ჩემმა მოსაუბრემ; ურვათი ბევრი გახადეს, ქალებს ვეღარ ვათხოვებთ და ვაჟებსაც ცოლს ვეღარა ვრთავთო.

ძალიან სამადლობელი საქმე იქნება, რომ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ოსების ამ ჩვეულებას და დააწესონ, რომ ურვათი ათს, ანუ თხუთმეტ თუმანზედ ზევით არ იყოს, მაშინ ყველას გაუადვილდება ცოლის თხოვნა და ქალის გათხოვება, თორემ ძნელად მოისპობა ზნეობის წინააღმდეგი მოქმედება ამ ჩვენს მინდვრის ოსებში.

მაისის 27-ს.

**კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის წინადადება ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ბ. დირექტორისადმი. 1885 წელს მარტის 11-ს № 1297.**

ადგილობრივ მცხოვრებთა პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის შედ-

---

თად ვნახე. ერთს საღამოს კოლიუბაკინთან შეველი, რომელიც მაშინ ჯერ ისევ ქუთაისის გუბერნატორი იყო. იქ დამხვდა კონსტანტინე დადიშკელიანი და კიდევ ვიღაც; ცოტა ხნის შემდეგ უსლარიც მოვიდა. ერთმანეთში საუბარი როგორღაც ვერა ხერხდებოდა, რისაგამოც ყველას მაგივრად კოლიუბაკინი ლაპარაკობდა. ბოლოს ვახშამიც გაშალეს, მაგრამ საუბარი მაინც არა ხერხდებოდა. დადიშკელიანი უსლარის პირ-და-პირ იჯდა და სულ მათლაფაში ჩაიცქირებოდა, მე თუ რასმეს დავეკითხებოდი პასუხს მოკლედ მაძლევდა. ისევ კოლიუბაკინი ლაპარაკობდა. ვახშმის შემდეგ ყველაზედ წინ კონსტანტინე წავიდა და მეც მითხრა თან გავყოლოდი, რადგანაც ორივეს ერთი გზა გვქონდა. ბნელი ღამე იყო. უსლარმა ითხოვა ყაზახი გაეყოლებინათ ფარნით, მე უთხარი, რომ ფარანი საჭირო არ არის, ყველა ქუჩები კარგად ვიცი და შინამდის მე მიგიყვანთ მეთქი, მაგრამ უსლარი მაინც არ დათანხმდა. შუაგზაზედ მან მითხრა: «ნუთუ გგონია, რომ ეს ველური კაცი მოსაკლავად დამინდობსო.» მე ვერ მივხვდი ამას ვისზედ ამბობდა და ვკითხე ეგ «ველური კაცი» ვინ არის მეთქი. როგორ, განა ვერ მიხვდი, რომ მე იმ კაცზედ ვამბობ, რომელთანაც მთელს ღამეს ერთად ვიჯექი. მაშინ კი მივხვდი, რომ იგი კონსტანტინეზედ ამბობდა და ძალიანაც გამაკვირვა, რადგან არ მეგონა თუ მათ შორის ასეთი უკმაყოფილება იყო ჩამოვარდნილი.

სამი დღის შემდეგ უსლართან შევედი და ვნახე, რომ ნიშანში დამბაჩის სროლას სწავლობდა.

«სროლას ვსწავლობ, იქნება დამჭირდესო», მითხრა უსლარმა. მე მას არაფერი ვუთხარი. ბოლოს გავიგე, რომ მას სრული საფუძველი ჰქონდა დადიშკელიანისაგან კარგს არაფერს მოელოდებოდა.

ამ დროს ერთი სასაცილო ამბავი მოხდა. დადიშკელიანთან ბევრი სტუმრები დადიოდენ; ქუთაისში ცხოვრობდა მისი დედიდა ქესარია შარვაშიძისა, მისი შვილი გრიგოლი თავის სახლობით და კიდევ ბევრი სხვა ნათესავები. რასაკვირველია ნათესავთ შორის სულ კონსტანტინეს საქმეზე იყო ხოლმე ლაპარაკი და ბევრნი სხვა-და-სხვა ნაირად არიგებდენ. ერთს ვიღასაც ეთქვა დადიშკელიანისათვის, რომ გაგარინისა და ბარიატინსკისაგან კეთილს ნურაფერს მოელიო, უმჯობესი იქნება პირ-და-პირ ხემწიფეს მიმართოვო. ეს ერთს ექიმს პოლიაკს ვიცნობ, რომელმაც ფრანცუზული კარგად იცის და ნაპოლეონ III თხოვნას დაგიწერსო. იგი მისწერს ნაპოლეონს, რომ შენ სვანეთის მეფე იყავ და ბარიატინსკი უსამართლოდ გართმევს სამეფოს და სთხოვს გაშუამდგომლოს ხემწიფე ალექსანდრე ნიკოლოზის ძესთან, რომ სამეფო ისევ დაგიბრუნოს. დადიშკელიანმა მიაყვანინა თავისთან ეს ექიმი და თუმცა მასთან მოლაპარაკება საიდუმლოდ ხდებოდა, მაგრამ ერთმა ჯაშუშმა ყოველივე ეს შეიტყო და ბარტოლომეის შეატყობინა. იმანაც პოლიცმეისტარს მიმართა და ექიმი პოლიაკის შესახებ ყოველივე ცნობები შეკრიბა. გამოდგა რომ დადიშკელიანის თხოვნის დამწერი სამხედრო სამსახურიდამ გამოგდებული კაცი ყოფილიყო და ექიმობისა ინჩიც არა იცოდარა. ეს ცრუ ექიმი მაშინვე დაიჭირეს და ნაპოლეონთან მიწერილი თხოვნაც უპოვეს, რისათვისაც ბარტოლომეის ძალიან უნდოდა ეს საქმე გაეზვიადებინა, მაგრამ გაგარინს ძალიან ეწყინა ბარტოლომეის საქციელი და ამ უბრალო ამბავს თვითონვე მოუღო ბოლო. ცრუ ექიმი ტალისტოვი თავის ქვეყანაში გაგზავნა, კალუგის გუბერნიაში და ბარტოლომეის სთხოვა ამ საქმის შესახებ დადიშკელიანისთვის არაფერი ეთქვა. გაგარინი ხედავდა, რომ ქუთაისში კონსტანტინეს ყოფა შეუძლებელი იყო, ამისათვის, როდესაც უსლარმაც სვანეთის შესახებ თავისი მოხსენება გაათავა და თბილისში გაგზავნა, გაგარინმა ბარიატინსკის სთხოვა კონსტანტინესათვის საცხოვრებლად სხვა ქალაქი დაენიშნა.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, როგორც მკითხველმა იცის, ოქტომბრის 25-ს უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგისაკენ; გაგარინს თვითონაც უნდოდა გაეცილებინა დედოფალი, რისაგამოც წინ-და-წინ თავის ცოლი გაგზავნა მასთან გორდში. ოქტომბრის 22-ს თვითონაც მოემზადა წასასვლელად და უბრძანა 12-ს საათზედ ცხენები შეეკმაზათ.

დილის ცხრა საათზედ მას თბილისიდამ გამოგზავნილი პაკეტი მოუტანეს. შტაბის უფროსი სწერდა, რომ თავადი ბარიატინსკი სრულიად თანახმაა შენის აზრისა დადიშკელიანის საქმის შესახებ და გადაჰსწყვიტა ეს აზრი ხემწიფესაც შეატყობინოს, ჯერ-ჯერობით კი დადიშკელიანს საცხო-

გენილი სამასწავლებლო პლანის ძალით, რომელიც დამტკიცებულ იქმნა 1881 წ. იანვრის 13-ს კავკასიის ყოფილის მთავარ-მართებლისაგან, სწავლა ხსენებულ სკოლებში უნდა იწყობოდეს სამშობლო ენაზედ. ამის გამო დეკემბრის 31-ს 1884 წელს, № 7992-ით მე წინადადება მივეცი თქვენ მაღალ-კეთილ-შობილებას, რომ სამეგრელოს პირველ-დაწყებით სკოლებში, სადაც მოსწავლენი უმეტესად მეგრელები არიან, სწავლა უნდა იწყობოდეს მეგრულს ენაზედ, როგორც მცხოვრებთა სამშობლო ენაზედ. მაგრამ რადგანაც მეგრულს ენაზედ არ არსებობს მწიგნობრობა, ამისათვის მასწავლებელთ მინდობილი ჰქონდათ ჩემგან, რომ მეგრული სიტყვების დასაწერად ეხმარათ რუსული ალფავიტი.

ვამტკიცებ რა ხსენებულს ჩემს წინადადებას საგანგებოთაც ასასრულებლად, მე საჭიროდ ვრაცხ დავუმატო მას შემდეგი ახსნა:

თანახმად 1881 წლის იანვრის 13 სამასწავლებლო პლანისა, პირველ-დაწყებითი სკოლის პირველ განყოფილებაში «ერთის თვის შემდეგ, იწყობა სწავლა კითხვისა სამშობლო ენაზედ ახალი მეთოდით (звуковой) და ამასთან ერთად იწყობა სწავლა წერისაც—იმ საგნების სახელებისა, რომელნიც ყმაწვილებს შეუსწავლიათ დაკვირვებით სწავლის დროს».

ეს დადგინება სამეგრელოს სკოლებში უნდა შესრულებულ იქმნას ამ ნაირად:

კითხვის ახალი მეთოდით სწავლების მეთოდიკის ძალით, სინამ ყმაწვილებს შეასწავლიან ასოების დახატვას, იგინი უნდა შეაჩვიონ სიტყვების დაშლას ხმებად. ეს ვარჯიშობანი უნდა სწარმოებდენ ზეპირად ამის თანახმად, მასწავლებელი მეგრელის სკოლისა, ერთი თვის სწავლის შემდეგ პირველ განყოფილებაში, მოვალეა შეაჩვიოს მოსწავლენი მეგრული სიტყვების ხმებად დაშლას და ხმების შეერთებას სიტყვებად, და შემდეგ, როცა მოსწავლენი საკმაოდ გაიკვეთავენ ამ ვარჯიშობათა, მასწავლებელმა უნდა დაიწყოს სწავლება ხმების გამოხატვისა და საზოგადოთ სწავლა წერისა მეგრულს ენაზედ, რის დროს უნდა იხმაროს, როგორც ზევით იყო ნათქვამი, რუსული ალფავიტი.

სწავლება კითხვისა, მეგრულს ენაზედ წიგნების უქონლობის გამო, ძალა-უნებურად უნდა დაკმაყოფილდეს პირველ დროს, მარტო იმ სიტყვების კითხვით რომელთა წერა იციან მოსწავლეთ. შემდეგ, როცა მოსწავლენი რამდენადმე გავარჯიშდებიან თითოეული სიტყვების წერა-კითხვაში, მასწავლებელმა უნდა წააკითხოს მათ თითოეული მარტივი და მოკლე ფრაზები, რომელნიც ამისათვის მასწავლებელმა წინათვე უნდა შეადგინოს და დაწეროს რუსული ასოებით გაკვეთილის დროს საკლასო დაფაზედ. რამდენიც მოსწავლენი გავარჯიშდებიან, მასწავლებელმა მარტივი ფრაზების წერისა და კითხვის შემდეგ, თანდათან უნდა შეასწავლოს უფრო რთული ფრაზები, რომელნიც ეგრეთვე ზემოხსენებული წესით უნდა შეადგინოს და დაწეროს რუსულის ასოებით საკლასო დაფაზედ. ამ ნაირად უნდა სწარმოებდეს სწავლება პირველი ნახევარ წლის განმავლობაში. არითმეტიკის სწავლება ამ ნახევარ-წელიწადს, თანახმად სამასწავლებლო პლანისა, უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებით სამშობლო ენაზედ.

მეორე ნახევარ-წლიდან, თანხმად სამასწავლებლო პლანისა, უნდა დაიწყოს სწავლება რუსულის ენისა იმ წესით, როგორც ნაჩვენებია იმავე პლანში.

სწავლება არითმეტიკისა და რუსულის ენისა მეგრული სკოლის მე 2 და მე-3 განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს ყველაფერში თანხმად სამასწავლებლო პლანისა

რაკი სამეგრელო სკოლებში იქნება ამნაირი მეთოდი სწავლებისა, ამისათვის თითონ მასწავლებელნიც ვალდებულნი არიან საკმაოდ იცოდენ მეგრული ენა; მასწავლებელნი კი, რომელნიც ვერა ლაპარაკობენ ამ ენაზედ, ვალდებულნი არიან შეისწავლონ იგი იმდენად, რომ შეეძლოთ მასზედ მარტივი ამბების გადაცემა.

რაც შეეხება სამღვთო სჯულს, მეგრულს ენაზედ სამღვთო წერილის თარგმანის უქონლობის გამო, სწავლება ამ საგნისა მეგრულს ენაზედ ძნელი იქნება, რადგანაც სამღთო სჯულის მასწავლებელთ არა აქვთ სახელმძღვანელოები სამღვთო წერილის ნამდვილი და მუდმივი ტექსტისა, რომლით ხელ-მძღვანელობაც შეეძლოთ მათ სწავლების დროს. ამისათვის მეგრულს ენაზედ მოსწავლეთ უნდა გააცნონ, სამასწავლებლო პლანის თანხმად, მარტო ის ამბები ძველი და ახალი აღთქმისა, რომელთაც აქვთ წმინდა მოთხრობითი ხასიათი; ლოცვები და დოღმატნი სარწმუნოებისა უნდა ასწავლონ ქართულს ენაზედ; რომ სამღვთო სჯულის სწავლება ქართულს ენაზედ კარგად სწარმოვობდეს, სასურველია სამღვთო სჯულის მასწავლებელთ ასწავლონ ბავშვებს კითხვა ამ ენაზედ, მაგრამ არა ადრე მეორე წლისა, ე. ი. იმ დროისა, როდესაც ბავშვებს ეცოდინებათ კითხვა მეგრულად [illegible].

ქართულის ალფავიტის შესწავლა მოსწავლეთათვის ამ დროს არ წარმოადგენს არავითარს სიძნელეს და მოინდომებს არა უმეტეს 2-3 კვირასა. იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ კითხვა და შესწავლა ქართულად ლოცვათა და სამღთო წერილის ამბებთა არ შეიძლება სამშობლო ენაზედ გადაუთარგმნელად. ეს წესი სამღვთო წერილის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში შემუშავებულია ჩემგან თანხმად მის ყოვლად-უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსი პავლესი, საქართველოს ეგზარხოსისა.

გაცნობებთ რა ამას, მაქვს პატივი ვთხოვო თქვენს მაღალ-კეთილ-შობილებას, რომ გაუგზავნოთ სამეგრელოს მასწავლებელთ და სამღვთო რჯულის მოძღვართა ეს ჩემი ზემო აღწერილი შენიშვნები შესასრულებლად, სამეგრელოს სკოლებში იმ სამასწავლებლო პლანისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა 1881 წელს იანვრის 13-ს კავკასიის ყოფილის მთავარ-მმართებლისაგან. («ნოვ. ობ.»).

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივნისის 6-ს.

**პეტერბურგი.** პოდოლსკის გუბერნატორი გენერალი ფონ კალა დანიშნეს ვოლინის გუბერნატორად.

**ვოლოგდა.** დღეს დილით დიდი თავადი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე წავიდა არხანგელსკში.

**ლონდონი.** გუშინ სალისბიური

---

ვრებლად ერევანი დაუნიშნა, სადაც დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნოთო.

ეს ქაღალდი რომ მიიღო გაგარინმა, მაშინვე კანცელარიის მმართველი იზიუმსკი დაიბარა და მხიარულის სახით დაუხვდა.

— ძლივს დადიშკელიანის საქმესაც მოვრჩით. აი, წაიკითხე. მე იმისთვის დაგიძახე, რომ ამ საქმეში დამეხმარო.

იზიუმსკი კავკასიაში იყო დაბადებული და ქართულს კარგად ლაპარაკობდა, რადგან დედა ქართველი ჰყავდა. იგი კეთილის გულის კაცი იყო, სწავლა ყაზანის უნივერსიტეტში ჰქონდა დასრულებული და როგორც გაგარინს, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალიან უყვარდათ. იზიუმსკი ეუბნებოდა გაგარინს, რომ კონსტანტინესთან მოლაპარაკების დროს გაფრთხილებული იყო; იგი ძალიან გაბრაზებულია და უსიამოვნება არა გამოვიდეს რაო. იზიუმსკის თვითონ ენახა ერთხელ, რომ როდესაც გაგარინი ბულვარზედ დასეირნობდა, დადიშკელიანს რამდენჯერმე საეჭვოდ წაევლო ხელი ხანჯლისათვის. გაგარინმა იზიუმსკის არ დაუჯერა.

— მაგას რას ამბობ, ნუთუ გგონია, რომ მე იმისი მეშინიან? იმას იმისთვის ვუძახი, რომ რითაც შემიძლიან დავეხმარო წავლის წინად, განა იმან ეს არ იცის?

იზიუმსკიმ კიდევ ურჩია მორიდებოდა დადიშკელიანთან პირად ლაპარაკს, მაგრამ მან მაინც არა ქნა. დადიშკელიანის დასაძახებლად კვარტალნი გაგზავნეს.

სობოროში ამ დროს წირვა იდგა და დადიშკელიანიც იქ იმყოფებოდა და გულმოდგინედ ლოცულობდა. მას ზედ არაფერი იარაღი არა ჰქონდა ერთი ხანჯლის მეტი, მაგრამ ეს ხანჯალი მეტად დიდი რამ იყო და იმის მოსულ ტანს და ღონეს სრულიად შეეფერებოდა. მასთან მისულიყო კვარტალნი და მათ შორის ასეთი ლაპარაკი მომხდარიყო.

— თქვენო ბრწყინვალებავ, გენერალ-გუბერნატორმა გამომგზავნა გთხოვოთ, რომ ეხლავ წახვიდეთ მასთან.

— როგორ თუ ეხლავ, ვერა მხედავ, ვლოცულობ. შეატყობინე გაგარინს, რომ როდესაც ვლოცულობ, ყველა სხვა საქმეებს დავიწყებას ვაძლევ წირვის შემდეგ კი მოვალ.

კვარტალნი წავიდა; მაგრამ კონსტანტინე მისი მისვლით ძალიან გაბრაზდა. უკანასკნელს დროს იგი საზოგადოდ აღელვებული იყო; გაგარინი დიდი ხანი იყო არ ენახა, რადგანაც სამეგრელოს საქმეების გამო ვერ იცლიდა; ბარტოლომეი თავის შეუსაბამო ქცევით მუდამ აღელვებდა; ისიც გაეგო, რომ იმის სამთავროს შესახებ უსლარს რაღაც დაეწერა და ტფილისში გაეგზავნა; ყველა ამეებიდამ იგი კეთილს არაფერს მოელოდა. ეს სწორედ რომ უბედური კაცი, რომელიც ძალიან სწუხდა თავის სახლობაზედ სამი თვის უნახაობის გამო, მხოლოდ ლოცვის დროს ჰპოვებდა გულის სიმშვიდეს. მაგრამ ეს დროც მოუშხამეს. რაკი გაგარინმა ლოცვის დროს კაცი გაუგზავნა და დაიბარა, იგი მაშინ ნამდვილად დარწმუნდა, რომ ჩემს თავს რაღაც ამზადებიანო. მან უფრო გულმოდგინედ დაიწყო ლოცვა და ეს ლოცვა იმავე კვარტალმა გააწყვეტინა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, გაგარინი გთხოვთ უსათუოდ ამ წამში წახვიდეთ მასთან. იგი ბორდში მიდის და წასვლის წინად თქვენი ნახვა უნდა.

მაშინ დადიშკელიანმა უთხრა: — კარგიო, რამდენჯერმე გადიწერა პირჯვარი, ხელი გაიქნია, ფაფახი დაიხურა და წავიდა

გზაზედ დადიშკელიანს იზიუმსკიც შემოეყარა, რომელიც გაგარინსავე გაეგზავნა. იზიუმსკის დადიშკელიანი ძალიან გაჯავრებული ენახა და ამისათვის აშოშმინებდა მას, და ეუბნებოდა რომ გაგარინი ბორდში მიდის და შენი ნახვა უნდაო.

— მან მიიღო შენი საქმის შესახებ ქაღალდი და უნდა შენთან მოილაპარაკოს სინამ მასთან სხვები შეიკრიბებიანო.

— შენ არ იცი, იმ ქაღალდში რა სწერია?

— ის თვითონ გეტყვის. შენ მხოლოდ დარწმუნებული იყავ, რომ იგი ყოველის ფრით დაგეხმარება. მას მიენდე და გულ-დამშვიდებული იყავ.

დადიშკელიანი ხმას არ იღებდა და ორივენი ერთად მალე მივიდენ გენერალ-გუბერნატორის სახლში.

ზალაში რამდენიმე კაცი იყო და მათ შორის ბარტოლომეი, კაპიტან-ლეიტენანტი სავინიჩი, ლინეინის ბატალიონის კაპიტანი კონსტანტინე მიქელაძე, თარჯიმანი თალხან არდიშვილი და სხვანი.

დადიშკელიანი და იზიუმსკი პირდაპირ გაგარინის კაბინეთში შევიდენ.

(შემდეგი იქნება).

წავიდა კაბინეტში დედოფალთან, რომელსაც უნდა წარუდგინოს სია ახალი მინისტრების.

**ბერლინი.** დღეს დასაფლავეს პრინცი ფრიდრიხ-კარლი.

**რომი.** რადგანაც დეპუტატთა პალატაში სარწმუნოებრივს პროექტზედ სამინისტროს აზრის თანხმად არ გადაწყდა, ამისათვის სამინისტრომ დეპეშის ქაღალდი შეიტანა, თუმცა თანამდებობას ჯერ ისევ ასრულებს.

**ლონდონი.** სამინისტრო შესდგება შემდეგი პირებისაგან: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი მარკიზი სალისბიური. ლორდ კანცლერა-სერ გარდინგ ჯიფარდი, ლორდ-პრეზიდენტი საიდუმლო რჩევისა—სერ სტაფორდ ნორსკოტი, რომელმაც ამასთანავე მიიღო ღირსება პერისა; კანცლერი ხაზინისა და საზოგადოებათა პალატის ლიდერი-სერ მიხაელ გიქს—ბიჩი; მინისტრი შინაგან საქმეთა—სერ რიჩარდ—კროსი; კოლონიების მინისტრი — სტენლი, სამხედრო მინისტრი—სმიტი პირველი ლორდი ადმირალტეისა— ჯორჯ გამილ-ტონი; მინისტრი ინდოეთის საქმეთა-ლორდი რანდოლფ—ჩერჩილი, ვიცე-კოროლი ირლანდიისა—გრაფი კარნარვონი, გენერალ პოსტ-მეისტერი-ლორდ ჯონ მაკნერსი ეხლა მხოლოდ მეორე ხარისხის თანამდებობანი-და რჩიან დაუჭერელნი.

ივნისის 7-ს

**პეტერბურგი.** სენატის გარდაწყვეტილებით, რაც წყალობა გამოვიდა მათის იმპერატორებითი დიდებულების გვირგვინის კურთხევის გამო. მანიფესტის ძალით მაისის 15-ს 1883,—გავრცელდება თანაბრად ყველა უცხო ქვეყნელებზედ, რომელნიც რუსეთის კანონების ქვეშ სცხოვრებენ.

როგორც ისმის, სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკების მოქმედება შემოდგომაზედ დაიწყება.

**ლონდონი.** გუშინ გლადსტონის კაბინეტის წევრთ სჯა ჰქონდათ სალისბიურის წინადადებაზედ შესახებ იმისა, რომ ლიბერალებმა კონსერვატიულ სამინისტროს შემწეობა აღმოუჩინონ და გამოაცხადეს, რომ ამ შემწეობის აღმოჩენას კისრულობენ მხოლოდ არა იმ ზომამდე, რა ზომამდეც სალისბიურისა სურს. ამბობენ ქსეთი გადაწყვეტილება შეაფერხებს ახალის კაბინეთის თანამდებობაში ჩადგომასაო.

## ბირჟა

პეტერბურგი მაისის 31.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24^{8}/_{16}$, $24^{3}/_{8}$ $24^{3}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $206^{1}/_{2}$ $206^{1}/_{4}$ $26^{1}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $255^{3}/_{4}$ 255 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 18 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 15 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 99 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 97 მ. 62 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $97^{3}/_{4}$ მ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | 94 მ. 62 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | $94^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | $94^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 222 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $208^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $168^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | . . . . . . . . |

## ცნობანი

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბავშო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საზოგადო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბოსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შველათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამ. მცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 9 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა -- | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 | — | გ |

# განცხადებანი

თბილისის ქალაქის

## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც მოქალაქემ ალექსი ჯანჯულაზოვმა არ შეასრულა გადაწყვეტილება თბილისის მე-2-რე განყოფილების მომრიგებელის-მოსამართლის თანაშემწესი, ამისთვის თანხმად აღმასრულებელის ფურცლისა, (გამოცემული ივნისის 6-ს 1878 წელს, № 1858) ივნისის 14-ს დილის 11 საათზედ, ქალაქის გამგეობის დასწრებით იჯარით გაიცემა ჯანჯულაზოვის სახლის იმ კედლის აშენება, რომელიც ალადათოვის სახლის მხარეს არის მიქცეული, დახურულ ბაზარში. როგორც ამ სამუშაოს კანდიციების, აგრეთვე დაფასების შეტყობა მსურველთ შეუძლიან ყოველ დღე დილის 9-დგან ნაშუადღევის 1-ს საათამდის.

(2—1)

თბილისის ქალაქის

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ 1885 წელს ივნისის 17-ს, დღისით 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით იქნება გამართული ვაჭრობა შესახებ ქალაქის ქუჩების 1778 ფარნის ფოტოგენით განათების. იჯარით გაცემისა. ვადა იჯარისა ორი წელიწადია დაწყებული წლევანდელი ივლისის 4-დან. პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველდღე დღისით ორ საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

(3—4)

ცნობილი თავის თვისებით განარიდოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

## გალმანინი

იყიდება აფთიაქებში, აგრეთვე ევროპის დიდი სახელმწიფოს ყველა ქალაქების მეწინავეებთან **უმთავრესი დეპო** იმყოფება ვარშავაში თვით გამომგონებლის. აფთიაქის მექანი ფარმაციის მაგისტრს გ. კარპ ინსკისთან, ელექტორალის ქუჩაზედ. № 350. დიდი კოლოფი **გალმანინისა** ღირს ვარშავაში 50 კაპ, პატარა 30 კაპ.

**ერიდეთ სიყალბით გაკეთებულს**

და მოითხოვეთ, რომ ყველა კოლოფთან დარიგების ფურცელი იყოს, თუ როგორ იხმარება და პარიჟის გამოფენის მედალი.

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი.

(10—9)

## შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(ც. 2542).

(46—17)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.